

რიტუალური განბანვა იუდეველთა ერთობებში

ქრისტიანობის უპირველესი საიდუმლოს ნათლისღების ორ სახელწოდებათაგან – *fwtisma* (შთაფლვა) და *baptisma* (განბანვა) – ქართულ სინამდვილეში პირველი დამკვიდრდა, რაც იძლევა საცთურს შორს მიმავალი დასკვნის გამოსატანად, თითქოს წარმართულ ხანაში ინიციაციის რიტუალის არსი ნათელთან ზიარებასთან ყოფილიყო დაკავშირებული, და ამის ძალით თითქოს უკვე არსებული ტერმინი „ნათლისღება“ (თუ “ნათლისცემა“) მზამზარეული სახით მიეღოს გაქრისტიანებულ ქართულ ენას [1:134]. მიუხედავად ამ ვარაუდის ლოგიკურობისა, ქართველ ტომთა შორის მზის კულტის ჰიპოთეტურ არსებობაზე დაყრდნობით, ძნელია, დაბეჯითებით ითქვას, რომ ეს ნამდვილად ასე იყო. „ნათელთან“ ზიარება საკმაოდ ბუნდოვანი გამოთქმაა იმისათვის, რომ ქართული წარმართობის რომელიმე განმტოების ძირითად დოგმატად ვივარაუდოთ. ქრისტიანული ნათელი სავსებით ცხადი ონტოლოგიური რეალობაა, შორს რომ არ წავიდეთ იმ სახარებიდან მომდინარე, სადაც ნათელი (*fwc*) და სიტყვა (*logoc*), პირველად დაწყვილდა ერთმანეთთან. „(სიტყვა) იყო ნათელი ჭეშმარიტი, რომელი განანათლებს ყოველსა კაცსა“ (ი. 1:9). მაგრამ თუ ნათლისღება, როგორც ტერმინი, ამოწმებს არსობრივ – სულიერ, უხილავ მხარეს რიტუალისა, *ბაპტიზმა* მის ხილულ საშუალებაზე მიგვანიშნებს. კლიმენტი ალექსანდრიელის მიხედვით, *ფოტიზმა* ქრისტიანული უპირველესი საიდუმლოს მეორე საფეხურია წყალში შთაფლვის შემდეგ, რომელსაც მოსდევს ღვთისძედეყოფა, სრულყოფა და, ბოლოს, უკვდავყოფა [2:426-7]. ხოლო რა არის წყალში განბანვის ელემენტარული დანიშნულება, თუ არა თავდაპირველი სიწმიდის აღდგენა ადამიანში (იმ ნათლის კვლავშემოსვა, რომელიც ადამს შემოეძარცვა), ანუ, როგორც სათანადო ლათინური ტერმინი მოწმობს – ლუსტრაცია *lustratio*, რომელიც მომდინარეობს სიტყვიდან *lux* (ნათელი) და ენათესავება ბერძნულ *louw*-ს „განბანვა“ [3:230]. წყლის განმწმედელი ძალის გამო, ბუნებრივი უნდა იყოს, რომ ვერ ვპოვებთ ხალხს, რომელთა შორის ეს სტიქია ყოფითი თუ რიტუალური გაწმენდა-გასუფთავების მიზნით არ გამოიყენებოდეს. ამ შემთხვევაში არ გვიხდება ლაპარაკი ურთიერთგავლენებზე, მით უმეტეს, როცა განბანვა ერთი მოდემის და საერთო ყოფით-რელიგიური ტრადიციების ხალხში დასტურდება. ვეულისხმობთ ოფიციალური იუდაიზმიდან აღმოცენებულ ერთობებს, რომლებიც სხვადასხვა სახელწოდებით სწორედ ქრისტიანობის ჩასახვის პერიოდში არსებობდნენ. ესენი არიან, პირველ რიგში, ყუმრანის ერთობის წევრები, და იოსეფ ფლავიუსთან და ფილონ ალექსანდრიელთან მოხსენებული ესეველები (*Essenoi*) და თერაპევტები (*Qerapeutoi* ან „ღვთის მსახურნი“ ან „მკურნალნი“).

დავიწყოთ ყუმრანით.

სამეცნიერო ლიტერატურაში ყუმრანელებს ეს სახელი მათი ადგილ-სამყოფელის მიხედვით შეერქვათ. ყუმრანის ერთობა (დახად, როგორც თავად უწოდეს), როგორც რადიკალურად განწყობილი სექტა, გამოეყო იუდაიზმს,

დატოვა იერუსალიმი, მისი ტაძარი და მკვდარი ზღვის მახლობლად, იუდას უდაბნოს გამოქვაბულებს შეაფარა თავი. ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე, დაახლოებით ორი საუკუნის განმავლობაში არსებობდა ეს ერთობა, რომლის ადგილ-სამყოფელის აღმოჩენამ 1947 წელს ბიბლიოლოგიისა და იუდაიზმის ბევრ პრობლემას მოჰფინა შუქი, თუმცა ბევრიც ახალი გააჩინა. გაჩნდა ახალი კითხვები, რომლებზეც გადამწყვეტი პასუხები ჯერ არ ჩანს. ყუმრანელებმა დატოვეს უზარმაზარი მემკვიდრეობა ბიბლიის ხელნაწერების, ბიბლიური აპოკრიფების და ადგილობრივ შექმნილი ორიგინალური ტექსტების სახით. ჩვენთვის მათ ორიგინალურ ლიტერატურას ის მნიშვნელობა აქვს, რომ მათში გამოხატული სულისკვეთება რამდენადმე ეხმაურება იმ რელიგიურ სიტუაციას, რომელიც სახარებებშია გადმოცემული. ყუმრანელთა თვითსახელწოდებები მეტყველებს ერთობის რელიგიურ ხასიათზე: „ღვთის თემი“, „ცის ძეთა თემი“, „წმიდა თემი“, „მის რჩეულთა თემი“, „ღვთის რჩეულნი“ (შდრ. „თქვენ კი რჩეული მოდგმა ხართ“, 1კეც. 2:8), „ღვთის ნებით რჩეულნი“, „ცის რჩეულნი“, „ჟამის რჩეულნი“, „ერთობის თემი“, „ერთობის ხალხი“, „გლახაკთა თემი“, „ნათლის ძენი“, „ჭეშმარიტების თემი“ (ან „ჭეშმარიტი თემი“), და, რაც მთავარია, „ახალ აღთქმაში (bryt hahdsh hwdxh tyrb) შემავალნი“, „ახალი აღთქმის რჩეულნი“. ყველა ეს თვითსახელწოდება პირველ ქრისტიანთა თვითსახელწოდებებს გვახსენებს. რაც შეეხება „ახალ აღთქმას“, ის იმას მეტყველებს, რომ, ყუმრანული ერთობის წარმოდგენით, აბრაამთან დადებულმა აღთქმამ დაკარგა ძალა ანუ დაძველდა, და მის ნაცვლად ღმერთმა ახალი აღთქმა დაუდო ყუმრანელებს, როგორც „ღვთის რჩეულებს“. არანაკლებ შესანიშნავია სახელწოდება „ნათლის ძენი“, რომლითაც ისინი „ბნელის ძეთ“ უპირისპირდებიან. ასევე იწოდებიან ქრისტეს მიმდევრები „ახალი აღთქმის“ ტექსტებში: „სანამ ნათელი გაქვთ, იწამეთ ნათელი, რათა იყოთ ძენი ნათლისა“ (იოან. 12:36), „რადგან თქვენ ყველანი ნათლის ძენი ხართ და ღვთის ძენი. არც ღამისანი ვართ და არც ბნელისანი“ (1თეს. 5:5). დამახასიათებელია უარყოფითი დამოკიდებულება იერუსალიმის სამღვდლოებისადმი, რომელთაც ისინი „უკეთურებად“ იხსენიებენ, რამაც არ შეიძლება ფარისეველთა მიმართ ქრისტეს დამოკიდებულება არ გაგვახსენოს. ყუმრანელმა „ღვთის რჩეულებმა“ უარყვეს სისხლიანი მსხვერპლი, რომელსაც კეთილ საქმეთა კეთება შეუნაცვლეს. მათ განავითარეს და ცხოვრებაში გაატარეს წინასწარმეტყველთა მოწოდება, რომ კეთილი საქმეები ღვთის თვალში უფრო ფასობს, ვიდრე მსხვერპლშეწირვები (ფსალმ. 50:18-19, ეს. 1:11-16). ოფიციალურ იუდაიზმს განშორებული ყუმრანელთა საზოგადოება თავს უფლის ჭეშმარიტ მსახურად და რჩეულ ერად მიიჩნევს და, ამდენად, მათ საკუთარ თვალში ყუმრანის ერთობა განასახიერებს ისრაელიანთა იმ ნატამალს, რომლის ხსნას ესაია წინასწარმეტყველი ქადაგებდა (ეს. 10:20,21,22; 11:11; 37:31,32; 43:3).

არც ძველ აღთქმაში, არც ახალში ყუმრანის ერთობა ნახსენები არ არის. თავის ამქვეყნიურ გზაზე იესო არ მოხვედრილა ყუმრანის მიდამოებში და არც ამ საიდუმლო საზოგადოების რომელიმე წევრს შეხვედრია (ყოველ შემთხვევაში, ამაზე სახარებები ღუმს), ოღონდ ვარაუდობენ, რომ იოანე ნათლისმცემელი, რომელიც იორდანის ნაპირებზე იესო ქრისტეს შეეგება, ყუმრანის გამოქვაბულებიდან უნდა მოსულიყო. მათგან უნდა მოეტანა მას

იუდეველთათვის წყალში ნათლისღების (ებრ. ტბლ „ჩაფლვა-ჩადრმავება“) იდეა ცოდვათა მისატვეებლად და, ამასთანავე, მოახლოებული სასუფეველის ხარება, რაც მისი მთავარი მოწოდება იყო.

ყუმრანის ერთობის განმსაზღვრელია ესქატოლოგიური ანუ უკანასკნელი ჟამის მოლოდინი, რომლითაც მოცული იყვნენ მისი წევრები. ცენტრალური ფიგურა მათთვის არის ბიბლიური მელქიცედეკივით გამოუცნობი „მოძღვარი სიმართლისა“ თუ „მართალი მოძღვარი“ (დორეჰ ცედეკ), მათი „ახალი აღთქმის“ თემის, ერთობის დამაარსებელი, რომელიც იდევენებოდა „უკეთურთა“ მიერ და უსამართლოდ გაიწირა (ან უნდა გაიწიროს მომავალში) მათი ხელით. ყველაზე მნიშვნელოვანი ხდომილება, რომელიც უნდა მოხდეს უკანასკნელ ჟამს, ეს არის გადამწვევტი ბრძოლა „ნათლის ძეთა“ და „ბნელის ძეთა“ შორის, რომელიც პირველთა გამარჯვებით დასრულდება. მთელი აწმყო ამ ბრძოლის სამზადისია. აწმყო პერიოდი ყუმრანელთათვის „ბელიალის წლებია“, ანუ, სხვანაირად, როგორც იოანე მოციქული წერს, „ყოველი სოფელი ბოროტსა ზედა დგას“ (1იოან. 5:19)... ჯერჯერობით გამარჯვებულია უფლის მოჯანყე „აბესალომის სახლი“, თუმცა საბოლოოდ მას დამხობა მოეწივს.

ეს მსგავსება იმასთან, როგორი სახეც ქრისტიანობას ჰქონდა სახარებათა ეპოქაში, არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ ყუმრანულ ერთობას რაიმე გავლენა ჰქონდა ქრისტიანობის წარმოშობაზე. მაგალითად, უილიამ ფოქსველ ოლბრაითის (Albright) შეხედულებით, „დღეს ჩვენ იძულებულნი ვართ ისტორიულ ფაქტად ვადიაროთ, რომ ახალი აღთქმის დროინდელ ქრისტიანთა ბევრი რელიგიური რიტუალი და ცხოვრების წესი ესეველთაგან იყო ნასესხები...“ [4:226]. ეს პრობლემა ნასესხობის ჭრილში არ უნდა დაისვას. ყუმრანოლოგ ფრანკ კროსის აზრით, თავდაპირველი ქრისტიანობა ესეველთა და ყუმრანელთა საზოგადოებრივი და აპოკალიპტური ტრადიციების გაგრძელებაა [4:227]. უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ყუმრანული და ქრისტიანული ერთობები – ორივენი ძველი აღთქმის მოლოდინების ნაყოფია. ყუმრანის ერთობაში მოხდა ამ ესქატოლოგიურ განწყობილებათა დაძაბულობის კონცენტრაცია, რომელსაც I საუკუნის მახლობელ ხანებში თავისი კულმინაციისთვის უნდა მიეღწია და ქრისტეს მოღვაწეობის დაწყებისთვის თავი უნდა ამოეწურა და ამოწურა კიდევ. რაც უნდა განდგომილი და გაუცხოებული ყოფილიყო ყუმრანის ერთობა იერუსალიმის კულტისგან და ოფიციალური იუდაიზმისგან, მისი სააზროვნო კატეგორიები და განწყობილებათა სიტყვიერი გამოხატულება მაინც საერთო იქნებოდა, რადგან საერთო წყარო ორივესთვის ძველი აღთქმა და მასში გამოხატული პერსპექტივები იყო. რომ არ ვილაპარაკოთ ძის განკაცების საიდუმლოზე, როგორც გადამწვევტი აქტზე ძველი აღთქმის ისტორიაში, როგორც მის დასასრულზე და ახლის დასაწყისზე, უნდა ითქვას, რომ ისტორიამ იმ მიმართულებითაც იმუშავა, რათა წინასწარმეტყველთა საუკეთესო იდეალებს საზოგადოებაში საბოლოო ხორცშესხმა ეპოვა, რისი ერთ-ერთი მაგალითი ყუმრანის ერთობაა, რომელმაც გაარღვია რიტუალიზმის რუტინა, იერუსალიმის კულტში (ფარისევლობის სახით) რომ იყო გაბატონებული. ყუმრანის, ესეველთა და ქრისტეს მოციქულთა ერთობის პათოსი ერთია, როცა ისინი იუდაიზმის ოფიციალურ კულტს უპირისპირდებიან. ამიერიდან რელიგიური სიმძიმის ცენტრმა რიტუალიდან

ადამიანის გულებში გადაინაცვლა, რიტუალური სისუფთავის მოთხოვნას მათთან ერთხელ და სამუდამოდ ზნეობრივი სიწმიდის აუცილებლობა შეენაცვლა. პირველი მეორის მეტაფორა გახდა. ეს ჩანს ყუმრანელთა ერთობის წესდებასა და სხვა დოკუმენტებში.

მორე ცედეკ – „მართალი (თუ სიმართლის) მოძღვარი“ – ასე იწოდება (საკუთარი სახელის გარეშე) ყუმრანის დოკუმენტებში ყუმრანელთა „ერთობის თემის“ დამაარსებელი და მისი უდიდესი ავტორიტეტი. ყველაფერი, რაც ნათქვამია „მართალ მოძღვარზე“, საოცარ სიახლოვეს იჩენს ქრისტეს მისიასთან: ყუმრანელთა მოძღვარი ღმერთმა აირჩია თავის ცხებულად, გაანდო მას წინასწარმეტყველური საიდუმლოებანი, რათა დაემოძღვრა ადამიანები, ერთობის წევრები (CDX, 5-11). მაგრამ ერთობაში მოხდა განხეთქილება: ზოგიერთებმა არ ირწმუნეს მისი სიტყვები და განუდგნენ მას და გაყვნენ „ცრუ კაცს“ და „უკეთურ (თუ უკეთურების) მღვდელს“, რომელიც დაუპირისპირდა ცხებულს, უფრო მეტიც, დევნის მას შთასანთქმელად (IQpHab X, 4-5). ხოლო ვინც უერთგულა (ან უერთგულებს) მას და დარჩა მასთან, სატანჯველი იწვინა (ან იწვნევს). და თავად მოძღვარიც მიიღებს სატანჯველს. ტექსტებიდან კარგად არ ჩანს, ეს ამბავი წარსულში მოხდა თუ მომავალშია მოსახდენი. სიუჟეტი სემიტური ზმნის განგრძობითი ასპექტით (იმპერფექტით) არის მოთხრობილი. ზმნის ამ ასპექტით გადმოცემულია ზედროული ჭეშმარიტება, რომლის განხორციელება მომავალშია მოსალოდნელი. ე. წ. დამასკოს დოკუმენტში ნათქვამია, რომ დღეთა დასასრულს (უკანასკნელ დღეებში) აღდგება მართალი მოძღვარი, ხოლო სხვაგან (აბაკუმის განმარტებაში) ვკითხულობთ, რომ ღმერთი თავის რჩეულს მიანდობს ხალხების განკითხვას.

ვინ არის „მართალი მოძღვარი“, რომელიც მოვა დღეთა დასასრულს და განკითხავს ადამიანებს? არ დარჩენილა II-I სს.-ის მეტ-ნაკლებად ცნობილი რელიგიური თუ პოლიტიკური მოღვაწე, რომელთანაც არ გაეიგივებინათ მისი ფიგურა: დაწყებული მაკაბელთაგან, თვით პავლეტი თუ იმპერატორ ტიტუსით დამთავრებული. რაღა გასაკვირია, რომ ყველაზე ხშირად მასთან დაკავშირებით მოიხსენიება იესო ქრისტე. თუმცა ტექსტები, სადაც ასე მწირად არის მოთხრობილი მისი ამბავი, ერთი საუკუნით უსწრებს წინ ქრისტეს მოვლინებას.

ერთადერთი, რაც ამ გამოუცნობი პიროვნების შესახებ შეიძლება ითქვას, ჩემი აზრით, ის არის, რომ *მორე ცედეკ* იმ მოლოდინების წინასწარმეტყველური გამოხატულებაა, რომელიც ლაიტმოტივად გასდევს ებრაელთა შინაგან ცხოვრებას წინასწარმეტყველთა ხანიდან. ძლიერი, დაძაბული მოლოდინი (პავლესეული apokaradokia, რომ. 8:19) ქმნის მის სახეს – სახეს ღვთის რჩეულისა, რომელსაც ღმერთი გამოგზავნის ადამიანებთან მათ დასამოძღვრად და სახსნელად, ცხებულისა, რომელიც მიეცემა სატანჯველს და სასიკვდილო სასჯელს, რათა ესქატოლოგიურ ჟამს კვლავ მოევიდნოს ადამიანებს. *მორე ცედეკის* ფიგურა იმ რიგს ეკუთვნის, რომელსაც სათავეში უდგას ესაიას „კრავი“ 53-ე თავიდან... პლატონის „ტიმეოსი“, სადაც ლაპარაკია ჭეშმარიტების მოძღვარზე, რომელიც უნდა დაისაჯოს.. მაგრამ დაუბრუნდეთ ჩვენი სტატიის ძირითად თემას – ნათლისღების რიტუალს. უმჯობესი იქნება, თუ მას ამ სტატიაში განბანვის სახელით მოვიხსენიებთ.

რას წარმოადგენდა ყუმრანელთა განბანვა, რომელიც ერთობის წევრთათვის სავალდებულო იყო? მივმართოთ ტექსტებს, სახელდობრ, ერთობის წესდებას, რომელიც ორ ვარიანტად არის შემონახული და ყუმრანოლოგიაში ცნობილია აღნიშვნებით IQS (თერთმეტ სვეტად: I-XI) და IQSa (ორ სვეტად: I-II), და ე. წ. „დამასკოს დოკუმენტს“ (CD).

I. პირველი ვარიანტი: „...ნურავინ შევა წყალში, რათა შეეხოს წმიდათა სისუფთავეს (ტაჰარათ), რადგან გასუფთავდებიან (იტტაჰარუ) მხოლოდ ისინი, ვინც მოიქცევა ბოროტებისგან (შაბუ მერაყათამ), რადგან უსუფთაობა (ტამე) მყოფობს ყველაში, ვინც უხვევს მის სიტყვას“ (IQS V,13-14).

II. მეორე ვარიანტი: „არავინ განიბანოს ბინძურ წყალში ან ისეთში, რომელიც არ არის საკმარისი კაცის ჩასადრმავებლად; არავინ გარეცხოს მასში ჭურჭელი; ან კლდის რაიმე ღრმულში, რომელიც არასაკმარისია ჩასადრმავებლად, ან თუ მას უწმიდური შეეხოს, გააუწმიდურა მისი წყალი, როგორც ჭურჭლის წყალი“ (CDX, 11-13).

პირველი ვარიანტის ენა პირწმინდად ძველადთქმისეულია: „წმიდათა სისუფთავეს შესახებად“ უნდა ნიშნავდეს წმიდათა სტატუსის მოპოვებას წყალში ჩადრმავებით. ცხადია, რომ ტერმინი ტაჰარაჰ, რომელიც ძველ ადრთქმაში, როგორც წესი, რიტუალურ „სისუფთავეს“ გამოხატავს, ყუმრანის ერთობაში ზნეობრივი მნიშვნელობა აქვს შექენილი. და, ამიერიდან წყალი მონანიე ადამიანის ზნეობრივ განწმედლაში მონაწილეობს.

„უსუფთაობა მყოფობს“ – აქ ტერმინი „უსუფთაობა“ ტამე, რომელიც რიტუალურ მდგომარეობას გამოხატავს, ყუმრანელებისთვის ზნეობრივად დაცემულ მდგომარეობას გულისხმობს. ცხადია, აქ მხოლოდ ტერმინთა გადანაცვლება არ მომხდარა. ყუმრანის ერთობა გამსჭვალულია წინასწარმეტყველთა პათოსით, რომლებიც თითქმის უარყოფდნენ რიტუალს (სისხლიან მსხვერპლშეწირვასთან ერთად) და უპირატესობას ზნეობრივ სიწმიდეს ანიჭებდნენ. მათი მთავარი სიტყვაა შუბ, რომელსაც აქვს „მოქცევის“, „დაბრუნების“ მნიშვნელობას. „დაბრუნება“ (შუბ) ის ცნებაა, რომლითაც ეს ტექსტი უახლოვდება სახარების იმ ადგილს, სადაც იოანეს მოღვაწეობის დასაწყისზეა ლაპარაკი. ეს სიტყვა – შუბ* – უნდა გამოეყენებინა იოანე ნათლისმცემელს, ძველი ადრთქმის უკანასკნელ წინასწარმეტყველს, თუ იგი არამეულ ენაზე მიმართავდა (და ასეც იყო) იუდეველებს, ანუ ეს სწორედ ის სიტყვა, რომელიც სახარებაში ბერძნულად ითარგმნა როგორც *metanoete* „მოინანიეთ“ (მ. 3:2). სემიტური სემანტიკით მონანიება ნიშნავს თავდაპირველი სიწმიდისკენ დაბრუნებას, მოქცევას.

შაბუ მერაყათამ (*mtirm vbw*) – „მოიქცევიან (ან მობრუნდებიან) თავიანთი ბოროტებისგან“, ამბობს წესდება და იგი მოქცევას (სინანულს) და წყალში ჩადრმავებას (ცხადია, არა ფიზიკური წვირის მოსაშორებლად) ერთიან რიტუალად წარმოადგენს, სწორედ ისე, როგორც ვკითხულობთ მათეს სახარებაში: „და ინათლებოდნენ მისგან იორდანეში და აღიარებდნენ თავიანთ ცოდვებს“ (მ. 3:6). თანხვედრა აშკარაა, რის გამოც იოანე ნათლისმცემელს ყუმრანის ერთობასთან აკავშირებენ. თუმცა წინასწარმეტყველს, როგორც იყო იოანე, წინასწარმეტყველთა ტრადიციის ძალით შეეძლო დაეკავშირებინა ერთმანეთთან განბანვის რიტუალი სინანულთან. ჯერ კიდევ ესაია

მსხვერპლშეწირვას, ცოდვათა მონანიების გარეშე, უაზრობად (და უზნეობადაც) მიიჩნევს. უფლის თვალში საძაგელია ასეთი მსხვერპლი (ეს. 1:11-16).

განბანვა ფუჭია, თუ ადამიანი კვლავ ცოდვაში რჩება. „ვერც თავის ცოდნას, ვერც თავის ძალას, ვერც თავის ქონებას ვერ შეიტანს იგი ერთობის საბჭოში, რადგან ბოროტებაშია მისი ზრახვები და ბიწიერებაა მის მოქცევაში. და ვერ გამართლდება, ვიდრე გულისთქმებით არის შეკრული და წყვდიადს უმზერს იგი ნათლის გზების სანაცვლოდ. სრულთა თვალში არ შეირაცხება იგი, არ ეპატიება განტევების დღეს, **ვერც გასუფთავდება განსაწმედელი წყლით, ვერ განიწმიდება ვერც ზღვებით და ვერც მდინარეებით, ვერც გასუფთავდება ვერავითარი განსაბანი წყლით; წაბილწული, წაბილწული იქნება მთელი სიცოცხლე, ვიდრე უარყოფს ღვთის სამართალს, არ გაიწვრთნება ერთობის საბჭოში, რადგან ღვთის ჭეშმარიტების საბჭოს სული განწმედს კაცის გზებს, ყველა მის შეცოდებას, რათა უმზერდეს სიცოცხლის ნათელს; ერთობის წმიდა სულით და მისი ჭეშმარიტებით განიწმიდება კაცი ყველა მისი ცოდვისგან და სიწრფელის სულით და მორჩილებით შეენდობა მისი ცოდვა. თავისი სულის სიმდაბლით ღვთის კანონთა მიმართ განიწმიდება მისი ხორცი (სხეული)... და წარმართავს ნაბიჯებს, რათა იაროს წრფელად უფლის გზებზე... არ გადაუხვიოს არც მარჯვნივ და არც მარცხნივ, ღვთის ერთი სიტყვაც არ გადალახოს, და მაშინ იქნება იგი შეწყნარებული მიტევების დღეს კეთილსურნელად ღვთის წინაშე და იქნება მისთვის მარადიულ აღთქმად“ (1QSIII 2-12).**

ამჟამად, რომ განბანვა – წყალში ჩაღრმავება, რაოდენ ღრმა და დიდი წყალიც არ უნდა იყოს, – ვერაფერს შეგლის ადამიანს, თუ იგი ჯერ სულიერ უწმიდურებას (ცოდვის) სახით მონანიების გზით არ მოიშორებს, მას არც ზღვა და არც წყალუხვი მდინარეები არ უშველის. რადგან თავისთავად წყალს განწმედის ძალა არა შესწევს, ძალა აქვს მხოლოდ *მობრუნებას*, ღვთისკენ *მოქცევას* მთელი თავისი სიღრმისეულ-ეგზისტენციალური და ესქატოლოგიური მნიშვნელობით. მასშია მოქცეული მთელი ძველი აღთქმის საზრისი, როგორც უფლისკენ მოქცევის, პროცესისა, რომელიც ადამის სამოთხიდან განდევნისთანავე დაიწყო.

ჩაღრმავება, როგორც ფიზიკური წვირისგან განწმედა, სულიერი განწმედის ნიშანი იყო. ეს სიახლე საჯაროდ გამოაცხადა იოანემ. ეს სიახლე იყო არა მხოლოდ ხალხისთვის, ის ფარისევლებსაც ეუცხოვათ. სინანულის გარეშე წყალში ჩასაღრმავებლად მოსულთ მან ასეთი მკაცრი სიტყვა შეაგება: „იქედნეთა ნაშობნო, ვინ გასწავლათ მომავალ რისხვას გაქცეოდით? მაშ, გამოიდეთ სინანულის ღირსი ნაყოფი... მე წყლით ვნათლავ სინანულისთვის“ (მ. 3:7-8, 11)

მეორე მომენტი იოანე ნათლისმცემელთან სიახლოვისა (მ. 3:3) არის ადგილი ყუმრანელთა წესდებიდან, რომელიც მოუწოდებს თავის ხალხს: „განერიდონ სიცრუის ხალხის ადგილსამყოფელს უდაბნოში გასვლით, რათა გაიყვანონ იქ უფლის გზა, როგორც დაწერილია: „უდაბნოში გაამზადეთ უფლის გზა, მოასწორეთ ტრამალზე სავალი ჩვენი ღვთისათვის“ (1QS VIII 12-13). დამთხვევა, მართლაც, თვალშისაცემია: განბანვისას სინანულის (ცოდვათა აღიარების) მოთხოვნას ერთვის უფლის დღის დადგომის ესქატოლოგიური

მოლოდინი. ორივეგან ესაიას სიტყვებია გამოყენებული (ეს. 40:3). ეს იყო იოანეს მისიის მთავარი პუნქტები, რომლითაც ამოიწურა მისი ამოცანა. იოანე ამაზე შორს არ წასულა, არც ყუმრანელები წასულან. იოანე ამზადებს ხალხს, თუმცა ეს ხალხი ჯერ კიდევ მხოლოდ იუდეველნი არიან, არ ჩანს, რომ მისი მოწოდება კაცთა მოდგმას, მის მთლიანობაში, გულისხმობდეს. იოანე იუდადან იწყებს, რათა ქრისტემ მთელს კაცობრიობაზე განავრცოს.

ყუმრანელებთან აკავშირებენ ესეველთა სექტასაც, რომელთა ყოფის საკმარის ვერცელი აღწერილობა, კერძოდ, ყოველდღიური განბანვის აღნიშვნით, მოცემული აქვს იოსეფ ფლავიუსს „იუდეველთა ომებში“. თუმცა ამ პუნქტში მათ შორის საფუძვლიანი სხვაობაა.

ვნახოთ, რა ადგილი უჭირავს განბანვას ესეველთა ცხოვრებაში.

„განსაკუთრებულია მათი ღვთისმსახურებაც: მზის ამოსვლამდე ვრიდებიან ფუჭ (beb/lon) ლაპარაკს; მზის წინაშე რაღაც ძველთაძველ ლოცვებს აღავლენენ, თითქოს ამოსვლას ევედრებიანო. ამის შემდგომად თავმდგმურები (ḥpimelht/~) თითოეულ მათგანს მისთვის განკუთვნილ სამუშაოზე აგზავნიან და ისინი დაახლოებით ხუთ საათამდე ბეჯითად შრომობენ. მერე კვლავ ერთად იკრიბებიან ერთ ადგილას და, შემოირტყამენ რა სელის სარტყლებს, ტანს ცივი წყლით განიბანენ (#polovontai). განწმედის (Ágnejan) შემდეგ ისინი საგანგებო სამყოფელში შედიან, სადაც გარეშეებს (Sterod3xwn) შესვლა ეკრძალებათ. ისინი კი, განწმედილნი (kaqaroi), შედიან სატრაპეზოში, როგორც საწმიდარში (Ágian). ისინი მღუმარედ სხდებიან, ხაბაზი რიგ-რიგობით დააწყობს პურებს (#rtovc), ხოლო მზარეული თითოეულ მათგანს ჯამებს ჩამოურიგებს. სანამ მღვდელი ლოცვას არ წარმოთქვამს, ვერავინ მიეკარება საჭმელს. ტრაპეზის შემდეგ მღვდელი კვლავ ლოცვას წარმოთქვამს. ასე იწყებენ და ამთავრებენ ტრაპეზს ღვთის დიდებით, რომელიც იძლევა სასიცოცხლო საზრდოს. შემდეგ გამოიცვლიან სამოსელს, როგორც წმიდას (<er+~), და კვლავ სამუშაოდ მიდიან სადამომდე. როცა ბრუნდებიან, იმავე წესით იღებენ საზრდელს. თუკი შემთხვევითი სტუმრები შემოესწრებიან, ისინიც ტრაპეზობენ. ხმაური არასოდეს ბლაღავს სამყოფელს; ისინი რიგ-რიგობით ელაპარაკებიან ერთმანეთს. სინამდვილე, რომელიც სუფევს სახლში, გარედან დამკვირვებელზე რაღაც საშინელი საიდუმლოს (must/ri3n ti frikton) შთაბეჭდილებას სტოვებს“ [5: II, 8, 5]. ტრაპეზის ჩატარება მღუმარებაში, საერთოდ, დამახასიათებელის სემიტური მოდგმის ხალხებისთვის. დღემდე არაბები, არა მხოლოდ ბედუინები, არამედ მკვიდრნიც მღუმარედ შექცევნიან, რადგან მიაჩნიათ, რომ ისეთი მნიშვნელოვანი საქმე, როგორც სმა-ჭამაა, ამო და ფუჭი ლაპარაკით არ უნდა შეიბღალოს (Саудовская Аравия. Справочник, «Наука», М., 1980, გვ. 31).

როგორც ვხედავთ, განბანვა, ფლავიუსის თანახმად, ხდება შრომასა და საკვების მიღებას შორის. შრომა თუ სეკულარული საქმიანობაა, ტრაპეზი საღვთოა, ამიტომაც განიბანებიან ესეველები ტრაპეზამდე. ტრაპეზი რომ საკრალურია და რიტუალური, ეს აღწერიდან მკაფიოდ ჩანს – სატრაპეზო საგანგებო ადგილია, სადაც გარეშეთ, უფრო ზუსტად, სხვაგვარმადიდებლებს (Sterod3xoi), ანუ მათ, ვინც არ ეკუთვნიან ერთობას, შესვლა ეკრძალებათ. ცხადია, ესეველები ყოველდღე, გარდა შაბათისა, შრომობენ და იღებენ

საკეებს, ყოველდღიურია** განბანვაც, რომელიც განწმედს მათ იმ უსუფთაობისგან, რომელიც მათ ოფლის სახით შრომის პროცესში მოეცხოთ. ტრაპეზისთვის ისინი საგანგებო სამოსელით იმოსებიან. ტრაპეზზე აუცილებელია პური, მაგრამ რა კერძს უდგამენ წინ ერთობის წვევებს ერთადერთი თეფშით, უცნობია. ლოცვით იწყება და ლოცვითვე – ღვთის დიდებასთან ერთად – მთავრდება ტრაპეზი, რათა მშრომელნი კვლავ თავიანთ საშრომელს დაუბრუნდნენ.

ამ აღწერილობის მიხედვით არ ჩანს, რომ ესეველთა განბანვის ქმედითობის პირობა მონანიება იყოს ან რამენაირად სულიერ სიწმიდესთან იყოს დაკავშირებული. ესენელთა „ხელის განბანვის“ გამოძახილს ხედავენ სახარებაში, სადაც ამ წესის განუხრელ დამცველად ფარისევლები არიან მიჩნეული. ფარისევლებმა „როცა დაინახეს, რომ ზოგიერთნი მის მოწაფეთაგან რიოში*** ხელებით (koina ~ cersIn), ესე იგი, დაუბანელით (Ánipto~) ჭამდნენ პურს (რადგან ფარისეველი და ყველა იუდეველი ისე არ ჭამს საჭმელს, თუ საგულდაგულოდ არ დაიბანა ხელი და ასე იცავენ უხუცესთა გადმოცემას: ბაზრიდან დაბრუნებულები დაბანის გარეშე არ ჭამენ, და სხვაც ბევრი რამ არის, რაც გადმოეცათ შესასრულებლად: სასმისების, თასების, სპილენძის ქვაბების გავლება წყალში), ჰკითხეს ფარისევლებმა და მწიგნობრებმა: რატომ არ იქცევიან შენი მოწაფეები უხუცესთა გადმოცემისამებრ და დაუბანელი ხელით ჭამენ პურს? ...“ (მრ 7:2-4). მახარებელი მარკოზი აქ არ გულისხმობს იმგვარ ლიტურგიულ სუფრას (ტრაპეზს), როგორსაც იოსეფ ფლავიუსი აღწერს, თუმცა ხელის განბანვაში აქაც რიტუალური განბანვა იგულისხმება, რასაც მისი გამოხატვის ენა მოწმობს. მახარებლის მიერ მოხმობილი სიტყვა *კოინოს* უფრო პროფანულ მდგომარეობას გამოხატავს, ვიდრე ფიზიკურ წვირიანობას, რომელიც შესაძლებელია ბაზრიდან მოყვეს ხელს. ბაზარი, რომელიც სახარებაში აგორა სიტყვით არის გამოხატული, უპირისპირდება „შინას“ ანუ ადგილს, სადაც ტრაპეზი იმართება (მდრ. ესეველთა სატრაპეზოს, სადაც გარეშეთ შესვლა ეკრძალებათ). ტრაპეზი, რომელიც აღწერილია სახარებაში, ცხადია, შორს არის ესენელთა პურობისგან. ეს უკანასკნელი არათუ მკაცრად რიტუალურია, არამედ ლიტურგიული და, ერთგვარად, საიდუმლოებრივიც არის, რომელშიც მონაწილეობა რიტუალური განბანვის გარეშე დაუშვებელია. განბანვის გარეშე ადამიანი გარეშეთა კატეგორიაშია მოქცეული. ცხადია, აქ არა მხოლოდ ფიზიკური წვირისგან (თუმცა არც ეს არის გამორიცხული!) განიბანება ხელი, არამედ ხდება ნაშრომი და ოფლიანი ხელის განახლება, რომელიც არალიტურგიულ ქმედებას ასრულებდა. ეს ქმედება – შრომა შეიძლება დახასიათებულიყო ტერმინით *კოინოს* (პროფანული, ჩვეულებრივი, რიოში, საერო და სხვა), იმის საპირისპიროდ, რასაც ხელი განბანვის შედეგად იძენს, ანუ როცა ხელი ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადადის; მდგომარეობათა შორის კი მკაცრი ზღვარია გავლებული.

ეს მომენტი კარგად შეესატყვისება ნათლისღების პრინციპს და საზრისს, რომელიც, გამარტივებულად რომ ვთქვათ, *ძველი კაცის* სიკვდილსა და *ახალი კაცის* დაბადებაში მდგომარეობს. როგორც ფიზიკური წვირი ქრება („კვდება“) დაბანისას, ასევე ცოდვა წარისოცება („კვდება“) წყალში შთაფლვისას. ამიტომაც როცა ნათქვამია, რომ აგორიდან დაბრუნებულ ფარისევლები ხელის დაუბანელად არ ჭამენ, „დაუბანელი“ გამოხატულია სიტყვით *mh baptiswntai*, იმ

ტერმინით, რომელმაც უპირველესი ქრისტიანული საიდუმლოს გამოხატვა იტვირთა. ერთი შეხედვით, არაფერი განსაკუთრებული არ ჩანს ესეველთა ჩვეულებაში ჭამის წინ ხელი განიბანონ – ეს საერთო ებრაულ-იუდაური წესია, მამა-პაპიდან მომდინარე. როგორც ღვინახეთ, ამ წესს მისდევნ ფარისევლებიც და ყველა იუდეველი, ამიტომაც გაიკვირვეს მათ, როცა დაინახეს, რომ იესოს მოწაფეები არღვევენ ამ წესს. იესო სრულიად არაორაზროვნად ეუბნება მკიცხველებს, რომ ეს და ამგვარი მცნებები ადამიანური გადმოცემებია და არა ღვთიური (მრ 7:8-9). იესო აქ ზღვარს ავლებს ღვთიურ და ადამიანურ გადმოცემებს შორის, მაგრამ იგი აქვე ერთხელ და სამუდამოდ მიჯნავს ერთმანეთისგან საკრალურსა და პროფანულს, როცა ამ სტუმრობას ჩვეულებრივ საერო წვეულებად მიიჩნევს, რომლის წინ ადამიანს არ ევალება რიტუალური ქმედება. ამით იესო ემიჯნება არა მხოლოდ ესეველთა მაქსიმალიზმს, რომლის თანახმადაც პურობა რიტუალულ ტრაპეზთან და, საბოლოოდ, ლიტურგიულ ღვთისმსახურებასთან არის გაიგივებული**** [6:41], არამედ ფარისევლთა და სხვათა კომპრომისული ჩვეულებისგან (როცა განბანვის რიტუალი სრულდება, მაგრამ ტრაპეზი არ არის ლიტურგიული). ასევე გაუქმდა ახალ აღთქმაში გარჩევა წმიდა და უსურმაგ ანუ საჭმელად ნებადართულ და აკრძალულ ცხოველებს შორის (საქმე 10:1-15).

დასასრულ, რათა შევაჯამოთ მსჯელობა იოანეს ნათლისცემასა და ყუმრანელ-ესეველთა განბანვის თაობაზე, უნდა ითქვას, რომ მათ შორის დამთხვევათა მიუხედავად, არის ერთი კარდინალური განსხვავება, რომელიც იოანეს ნათლისღებას სრულიად განსაკუთრებულ მოვლენად სახავს: თუ ყუმრანელ-ესენელთა განბანვები მისდევს ძველი აღთქმის ტრადიციას ანუ ისინი ყოველდღიურია, იოანეს განბანვა (ბაპტისმა) ერთჯერადია – „აღვიარებ ერთსა ნათლისღებასა მოსატყეველად ცოდვათა“ (რითაც იგი სრულიად ემიჯნება რიტუალიზმს). სწორედ ის არის წინასახე ქრისტეს ნათლისღებისა, რომელსაც, გასაგები მიზეზის გამო, არა აქვს პრეცედენტი ძველ აღთქმაში და ვერ მოეძებნება ვერც ყუმრანელთა, ვერც სხვა რომელიმე სექტის რიტუალურ ქმედებაში.

შენიშვნები

* ებრაული שֵׁנִים „მოიქცეით“ („მოინანიეთ“) არამეულად ქდერს როგორც תִּנְיָן.

** შესაძლოა ორჯერადიც, თუ ფრაზაში „როცა ბრუნდებიან, იმავე წესით იღებენ საზრდელს“, განაზიარებ იგულისხმება.

*** ახალ ქართულ თარგმანში არაზუსტად არის თარგმნილი *კოინოს* სიტყვით „ბინძური“, რასაც ყოფით რეალობაში გადაყავს კონტექსტი.

**** ამის გვიანდელ გამოძახილს ვპოულობთ ხასიდებთან: „თქვა ბეშტმა: როცა საჭმელს გემოს ატან, გახსოვდეს, უფლის ჩადებულია საჭმელში მისი გემო და სიტკბო. მაშ, იცოდე რომ ჭამის დროსაც ემსახურები უფალს“ [6:41].

დამოწმებული ლიტერატურა

1. კ. დანელია. *რამდენიმე საკითხი ბიბლიის უძველესი ქართული თარგმანის ისტორიიდან*, თსუ შრომები: არქეოლოგია, კლასიკური ფილოლოგია, ბიზანტინისტიკა, თბ., 1978.
2. ნ. მახარაძე. *ტერმინი „ნათლის-ცემა“ და მისი ბერძნული შესატყვისი*, თსუ შრომები: არქეოლოგია, კლასიკური ფილოლოგია, ბიზანტინისტიკა, თბ., 1984. ამ ნაშრომში მოყვანილია კლიმენტი ალექსანდრიელის სიტყვები: baptiz3menoi fwtiz3meqa, fwtiz3menoi 7iopoiovmeqa, uiopoiovmenoi teleiovmemei, teleiovmemenoi #paqanatz3meqa...Kale_tai d2 pollac^c t4 frgon to_to c=risma kaJ f9tisma kaJ t1leion kaJ loutr3n... „შთაფლვით ნათელვიდებთ, ნათელვებით ძე ვხდებით, ძედ გახდომით სრულყოფილი ვხდებით, გასრულყოფილებით გაეუკვდავდებით... ბევრი სიტყვით გამოითქმის იგი: ნიჭი, ნათლობა, სრულყოფა, საბანელი...“
3. E. Benveniste. *Le vocabulaire des institutions indo-européenes, 2. pouvoir, droit, religion*. Paris, Les editions de minuit, Paris, 1969. ბერძნული louw-ს აკავშირებენ ლათინურ lustratio-სთან საერთოინდოევროპული ძირის აღდგენით: *lowestrom→lostrum.
4. И.Д. Амусин. *Рукописи Мертвого моря*, Москва, 1960.
5. *ხასიდური სწავლანი*, ფიქრები. რჩეულთა ბიბლიოთეკა 11. თბ., „ლომისი“, 1994.

ყუმრანული ტექსტები

Die Texte aus Qumran Hebräisch und deutsch Mit masoretischer Punctuation Übersetzung, Einführung und Anmerkungen herausgegeben von Eduard Lohse. 1981, Wissenschaftliche Buchgesellschaft, Darmstadt.

ყუმრანული ტექსტების sigla:

IQS – ყუმრანის ერთობის წესდება

CD – დამასკოს დოკუმენტი

IQpHab – აბაკუმის თარგმანება